ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03-06/21
(CPV44112230 )

სხალთა 23 ოქტომბერი 2019 წელი

ერთი მხრივ სსიპ აბესალომ აბაშიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის თემურ შაინიძის სახით და მეორე მხრივ შპს „იმედი 2010“ (შემდგომში მიმწოდებელი) ს/კ 445385529 ანგარიშის ნომერი GE33BG0000000293238200 წარმოდგენილი მზია ფაღავას სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქ-ტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და საქონლის მიწოდების პირობები

მიმწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს აწვდის საქონელს დანართის (ხელშეკრულების საგნის აღწერა) შესაბამისად.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

3.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული სრულად შეიძინოს ფასების ცხრილში მითითებული საქონელი, საქონლის შეძენა განხორციელდება წლის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი. (ხულო სოფელი ყინჩაური)

## 4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. წუნდებული საქონლის შეცვლას მოთხოვნიდან 7 დღის ვადაში თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.
5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი თემურ შაინიძე.

## 6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
6.3. მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
6.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.
6.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (სკოლის დირექტორი) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

## 7. მხარეთა ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მომწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ ,,ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთის საჯარო სკოლა | შპს „იმედი 2010“ |
| ს/კ №248053895 | ს/კ 445385529 |
| მისამართი: ხულო სოფ. ყინჩაური | მის: ქ. ბათუმი. შავშეთის/პუშკინის #22/2 |
| საკონტ./ტელ. ნომერი: 577 150 144 | საკონტ./ტელ. ნომერი: 557245040 |
| **თემურ შაინიძე** | **მზია ფაღავა** |
| **დირექტორი** | **დირექტორი** |

_________________________ _________________________

დანართი ხელშეკრულების საგნის აღწერა

| № | დასახელება | განზომილების ერთეული (სიგანე) | განზომილების ერთეული (სიგრძე) | კვადრატული მეტრი | ერთი კვ. მ.-ის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლინოლიუმი (იატაკის საფარი) | მეტრი (2) | 12,5 | 25 | 8 | 200 |
| 2 | სულ ღირებულება | | | | | 200 ლარი |

შემსყიდველი:

სსიპ ,,ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ

სხალთის საჯარო სკოლა

ს/კ №248053895

მისამართი: ხულო. სოფ. ყინჩაური

საკონტ./ტელ. ნომერი: 577 150 144

თემურ შაინიძე

დირექტორი

მომწოდებელი:

შპს „იმედი 2010“

ს/კ 445385529

მის: ქ. ბათუმი. შავშეთის/პუშკინის #22/2

საკონტ./ტელ. ნომერი: 557245040

მზია ფაღავა

დირექტორი